ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 1: ხუთი ძირითადი პრინციპი

პროფესიონალი ბუღალტრები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე რთული რეალური ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა არც თუ ისე მარტივია. ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ შემუშავებული *პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი* (კოდექსი) (გადასინჯული) პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ადგენს ქცევის სახელმძღვანელო პრინციპებს და ეხმარება მათ თავიანთი პასუხისმგებლობის შესრულებაში - იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, ყველაზე სენსიტიურ სიტუაციებშიც კი.

მაგალითად...

თქვენ ხართ საერთაშორისო სამრეწველო საწარმოს დირექტორი სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებში:

აღმასრულებელმა დირექტორმა წარმოადგინა კომერციული წინადადება ერთ-ერთ განვითარებად ბაზარზე საქმიანობის დაწყების ინიციატივით. წინასწარი შეფასებით აღნიშნული გეგმა შეესაბამება მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ ადგილობრივი კანონების მოთხოვნებს, თუმცა თქვენ არ ხართ დარწმუნებული, რომ ყველა დაეთანხმება ამგვარ შეფასებას.

თქვენ ხართ აუდიტის მენეჯერი

რამდენიმე წლის განმავლობაში თქვენ მონაწილეობდით ერთ-ერთი საცალო გაყიდვების კერძო კომპანიის აუდიტში და კარგად იცნობთ ამ კომპანიის მართვის სისტემას. ვინაიდან ფინანსური დაგეგმვის საკითხებში კომპანიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი მალე პენსიაზე გადის, მოელით, რომ ამ თანამდებობის დაკავებას თქვენ შემოგთავაზებენ. მეორე მხრივ, შეშფოთებული ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ ამ შემოთავაზებას ვერ მიიღებთ, თუ მიმდინარე წლის აუდიტში რაიმე სახის პრობლემები გამოვლინდება.

თქვენ ხართ ერთ-ერთი ნოვატორული ბიოტექნოლოგიური კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ფინანსურ საკითხებში:

კომპანიის მარკეტინგის დეპარტამენტმა წამოაყენა წინადადება ახალი ფასწარმოქმნის პოლიტიკის შემოღების შესახებ პატენტით დაცული, სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო მედიკამენტის მიმართ, რაც შეიძლება ჩაითვალოს სასოწარკვეთილი, მძიმედ დაავადებული პაციენტების მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. თქვენ გთხოვეს ანალიზის ჩატარება, რომელიც დაასაბუთებს იმ ფასების სისწორეს, რომლის დაწესებაც მარკეტინგის დეპარტამენტის აღმასრულებელ პერსონალს სურს.

ხუთი ძირითადი პრინციპი ეხმარება ბუღალტრებს ეთიკური დილემების გადაჭრაში

1 პატიოსნება

იყავით პირდაპირი და პატიოსანი ყველა სახის პროფესიულ და საქმიან ურთიერთობაში:

როგორც დირექტორმა, შეაფასეთ აღმასრულებელი დირექტორის მიერ შემოთავაზებული გაფართოების გეგმის კომერციული არგუმენტაცია იმის დასადგენად, განიცდის თუ არა იგი რაიმე მიზანშეუწონელ ზეგავლენას სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან, ქარხნის მშენებლობის ან პროდუქციის გაყიდვის თაობაზე დასტურის მიღების მიზნით?

2 ობიექტურობა

ნუ დაუშვებთ კომპრომისს პროფესიულ და საქმესთან დაკავშირებული განსჯისას მიკერძოების, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვისი მიზანშეუწონელი გავლენის გამო:

როგორც აუდიტის მენეჯერს, რომელიც ფიქრობთ აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობაზე, შეგიძლიათ აუდიტის დაგეგმვა და ჩატარება სათანადო დონის გულისხმიერებითა და სკეპტიციზმით?

3 პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება

ყოველთვის შეინარჩუნეთ პროფესიული ცოდნის, უნარებისა და გულისხმიერების სათანადო დონე:

როგორც დირექტორმა, გასწიეთ საკმარისი შრომა იმისათვის, რომ მექრთამეობასთან დაკავშირებული წესები და კანონმდებლობა სათანადო დონეზე შეგესწავლათ და ამით დახმარებოდით გენერალურ დირექტორს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ახალ ბაზარზე საქმიანობის გაფართოების საკითხთან დაკავშირებით?

4 პროფესიული ქცევა

დაიცავით ყველა სათანადო კანონი და მარეგულირებელი ნორმა და თავი აარიდეთ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც პროფესიას დისკრედიტაციას გაუწევს:

ანალიზი, რომელიც მოამზადეთ თქვენ, როგორც ფინანსური საკითხების ვიცე-პრეზიდენტმა ფასწარმოქმნის ახალი პოლიტიკის დასასაბუთებლად, არის სამართლიანი და ზუსტი, ანუ ისეთი, რომელიც პროფესიონალიზმზე მიუთითებს და არ აღიქმება, როგორც მიკერძოებული ან არასრული ინფორმაცია, რომელიც უბრალოდ „ამართლებს“ მარკეტინგის დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას?

5 კონფიდენციალობა

დაიცავით პროფესიული და საქმიანი ურთიერთობების დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

თქვენთვის, როგორც დირექტორისთვის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ცნობილი გახდა მთავრობის წარმომადგენელთათვის ფულის უკანონოდ გადაცემის სქემის შესახებ. როგორ, რა ფორმით უნდა მიაწოდოთ ეს ინფორმაცია კომპანიის თანამშრომლებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის გენერალურ დირექტორს? რა ვალდებულება გაკისრიათ შესაბამისი ორგანოებისათვის ამ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ან ამ ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ?

ცხადია, შეუძლებელია ყველა შესაძლო სიტუაციის განსაზღვრა, თუმცა, კოდექსით გათვალისწინებული პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა რელევანტურია ნებისმიერი პროფესიონალი ბუღალტრისათვის, იმის მიუხედავად, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ ბუღალტერთა ფირმაში მუშაობენ თუ ბიზნესში არიან დასაქმებულნი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ისეთი მოთხოვნა, რომელიც უშუალოდ რომელიმე კონკრეტულ სიტუაციას მიესადაგება, კოდექსით დადგენილი ხუთი ძირითადი პრინციპი ბუღალტრებს ეხმარება სწორი მიმართულების განსაზღვრაში – შეასრულონ თავიანთი პროფესიული პასუხისმგებლობა - იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?

ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია კოდექსის **110-ე განყოფილებაში**. პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციებს - IFAC-ის წევრებს - ევალებათ თავიანთი წევრების დახმარება ამ კოდექსის დანერგვის/რეალიზების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, როდესაც პროფესიონალი ბუღალტრები ეთიკური დილემების წინაშე აღმოჩნდებიან, ისინი მითითებებისა და სწავლების/გადამზადების მოთხოვნით, პირველ რიგში, მიმართავენ ხოლმე ბუღალტერთა ეროვნულ ასოციაციებსა და ინსტიტუტებს. ბუღალტერთათვის სასარგებლო და გამოსადეგ არაერთ რესურსს გვთავაზობს IFAC-ის ვებგვერდის განყოფილება Knowledge Gateway, კერძოდ, შემდეგი ქვეგანყოფილება - **Building Trust and Ethics**, ისევე როგორც წინამდებარე და 2019 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტი **Paying Professional Ethics More than Lip Service**

www.IESBAeCode.org-ზე თქვენ იხილავთ eCode-ის - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. ელექტრონული ვერსია კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას იძლევა, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.

ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევის დოკუმენტის მომდევნო ნაწილში განხილულია „კოდექსის კონცეპტუალური მიდგომა“. იგი შეიქმნა პროფესიონალ ბუღალტერთა დასახმარებლად, კერძოდ, ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი „საფრთხეების“ გამოსავლენად, შესაფასებლად და მათზე რეაგირებისთვის.

ბესსს-სა და კოდექსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბესსს-ის (IESBA) ვებგვერდზე.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac

International Ethics Standards Board for Accountants®
@ethics_board www.wthicsboard.org

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 1: ხუთი ძირითადი პრინციპი“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 1: ხუთი ძირითადი პრინციპი“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 1: ხუთი ძირითადი პრინციპი“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 1 – The Five Fundamental Principles

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: *Permissions@ifac.org*